

განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
„დაგროვებითი პენსიის შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

„დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საპენსიო რეფორმა ამოქმედდა 2019 წლის 1 იანვრიდან. აღნიშნულ პერიოდში საპენსიო სააგენტოს საქმიანობის პროცესში გამოვლიდა მთელი რიგი საკითხებისა, რომელიც საჭიროებს „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში განსხვავებულად ან/და დამატებით დარეგულირებას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

კანონის მიღების აუცილებლობა განპირობებულია ცალკეული საკითხების დარეგულირების საჭიროებიდან, რომელსაც „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქცია არ ითვალისწინებს ან არსებობს საჭიროება განსხვავებულად იქნეს დარეგულირებული კანონით განსაზღვრული საკითხები. კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებები შესაძლებლობას მისცემს საპენსიო სააგენტოს უფრო ეფექტურად განახორციელოს დაგროვებითი საპენსიო სქემის მართვა და ადმინისტრირება და სათანადოდ იზრუნოს მონაწილეთა საუკეთესო ინტერესებზე.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

„დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტით გათვალისწინებული საკითხები უფრო ეფექტურს გახდის დაგროვებითი საპენსიო სქემის ადმინისტრირებასა და მართვას, ამასთან, კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებებისა და ვალდებულებების განხორციელებას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტი ითვალისწინებს „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში (შემდგომში - კანონი) შემდეგ ძირითად ცვლილებებს:

- კანონის საფუძველზე შექმნილი საპენსიო რეფორმის არსისა და მიზნის გათვალისწინებით, რომელიც მდგომარეობს იმაში რომ საპენსიო ასაკში მონაწილეები უზრუნველყოფილნი იყვნენ ადეკვატური შემოსავლით, ის უნდა ვრცელდებოდეს ნებისმიერ და ყველა დასაქმებულზე, განურჩევლად იმისა თუ სად არიან ისინი დასაქმებულნი და აქვთ თუ არა მათ დამსაქმებლებს საშემოსავლო გადასახადის ხელფასიდან დაკავებისა და საგადასახადო

აგენტის შესრულების ვალდებულება. აღნიშნულის გათვალისწინებით, კანონპროექტი ითვალისწინებს დასაქმებულის განმარტების ცვლილებას და განსხვავებულ რეგულირებას ისეთი დასაქმებულებისათვის, რომელთა დამსაქმებლებიც მოქმედი კანონმდებლობით არ არიან ვალდებულნი შეასრულონ საგადასახადო აგენტის ფუნქცია. ცვლილების გათვალისწინებით, ასეთი დასაქმებულები ვალდებულნი არიან დასაბეგრი ხელფასის 4 პროცენტის ოდენობით საპენსიო შენატანი განახორციელონ თავად. ხოლო ასეთი დასაქმებულების დამსაქმებელები ვალდებულნი არიან ხელფასის გადახდისას დასაქმებულებს აუნაზღაურონ საპენსიო შენატანი დასაბეგრი ხელფასის 2 პროცენტის ოდენობით.

- კანონპროექტი ითვალისწინებს „პენსიის“ განმარტების ცვლილებას. აღნიშნული ცვლილების თანახმად, კონკრეტდება რომ პენსია არის დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეების მიერ საპენსიო ასაკის მიღწევის და შესაძლებლობის შეზღუდვის საფუძველით მიღებული/მისაღები თანხა, რომელიც დაანგარიშდება კანონისა და საპენსიო სააგენტოს მიერ კანონის შესაბამისად განსაზღვრული ოდენობითა და წესით. აღნიშნული ცვლილების მიზანია გაიმიჯნოს პენსიის და საპენსიო აქტივების მიღების შემთხვევები, რამდენადაც შინაარსობრივად მემკვიდრის მიერ გარდაცვლილი მონაწილის საპენსიო აქტივების მიღება არ უნდა მიიჩნეოდეს მემკვიდრის მიერ პენსიის მიღებად, იგივე შეეხება საქართველოს სამუდამოდ დატოვების შემთხვევაში საპენსიო აქტივების მიღებას.
- კანონის მოქმედი რედაქციის თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია საკუთარი სახელით და ხარჯით, ასევე დასაქმებულის სახელითა და ხარჯით საპენსიო შენატანი განახორციელოს დასაქმებულისათვის ხელფასის გადახდისას. სამწუხაროდ, არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, დამსაქმებლების დიდი უმრავლესობა საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულებას ხელფასის გადახდისთანავე ვერ ასრულებს, შესაბამისად მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული საპენსიო შენატანის განხორციელებისთვის გონივრული ვადად განისაზღვროს - ხელფასის გაცემიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღე.
- კანონის არსებული რედაქციის თანახმად, დასაქმებულს, რომელიც უარს განაცხადებს დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობაზე, შეუძლია ნებისმიერ დროს ხელახლა გაწევრიანდეს დაგროვებით საპენსიო სქემაში. დაგროვებით საპენსიო სქემაში ხელახლა გაწევრიანების მიზნით, დასაქმებულმა უნდა აცნობოს დამსაქმებელს. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ დასაქმებულს შესაძლოა ჰყავდეს რამდენიმე დამსაქმებელი, რომელთათვისაც უცნობია დასაქმებულის დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრიანების ფაქტი, აღნიშნულმა დამსაქმებელმა შესაძლოა არ განახორციელონ საპენსიო შენატანები და დადგნენ საპენსიო შენატანების განხორციელების ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტის წინაშე. შესაბამისად, კანონპროექტით განისაზღვრება დასაქმებულის ვალდებულება, ხელახლა გაწევრიანების შემთხვევაში აღნიშნულის შესახებ შეატყობინოს მის ყველა დამსაქმებელს.
- კანონის მოქმედი რედაქცია არ ითვალისწინებს ცალსახა რეგულირებას მასზედ თუ რა ვალუტაში უნდა მოხდეს მონაწილეებისადმი კანონით გათვალისწინებული ფულადი ვალდებულების შესრულება/გადახდა. უმეტეს შემთხვევაში აღნიშნული რეგულირების

აუცილებლობა არ არსებობს, რამდენადაც კანონით გათვალისწინებული ანგარიშსწორება უმეტესწილად ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. თუმცა შესაძლებელია, საქართველოს სამუდამოდ დატოვების შემთხვევაში მონაწილის მიერ მოთხოვნილ იქნეს ანგარიშსწორება უცხოურ ვალუტაში. აღნიშნულის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული სირთულეების გათვალისწინებით, კანონპროექტის ითვალისწინებს, საპენსიო სააგენტოს და მონაწილეებს შორის ანგარიშსწორებას მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში.

- კანონის მოქმედი რედაქციის თანახმად, სსიპ შემოსავლების სამსახური საპენსიო სააგენტოს უზრუნველყოფს ინფორმაციით, რომლის საფუძველზეც საპენსიო სააგენტო ამოწმებს დამსაქმებლისა და მონაწილის მიერ საპენსიო შენატანების განხორციელების ვალდებულების ჯეროვნად შესრულების ფაქტებს ან/და ავლენს თანხების ზედმეტად გადახდის ფაქტებს, რის შედეგადაც, ვალდებულების შესრულებლობის შემთხვევაში საპენსიო სააგენტო შესაბამის ინფორმაციას ელექტრონული ფორმით უგზავნის დამსაქმებელს, მონაწილეს და სსიპ შემოსავლების სამსახურს, ხოლო შემოსავლების სამსახური საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად უზრუნველყოს შესაბამისი დამსაქმებლის და თვითდასაქმებულის დაჯარიმებას 500 ლარის, ხოლო განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში 1000 ლარის ოდენობით. აღნიშნული რეგულირების ფარგლებში დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილის ინტერესები არ არის ბოლომდე გათვალისწინებული, ვინაიდან საპენსიო შენატანების განხორციელების ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში კანონი ითვალისწინებს მხოლოდ ჯარიმას, რომელიც მიემართება საქართველოს ბიუჯეტში, ხოლო მონაწილე, რომლის სასარგებლოდაც უნდა განხორციელებულიყო საპენსიო შენატანი მოკლებულია შესაძლებლობას მოითხოვოს და მიიღოს ის საპენსიო შენატანები რომლებიც მას კანონით უნდა მიეღო, შესაბამისად ვალდებულების დარღვევისგან პრევენციის მიზნებისთვის სანქციის ფორმად, მხოლოდ ჯარიმა არ უნდა იყოს განხილული. ამასთან, საპენსიო სააგენტოსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის, დაგროვებითი საპენსიო სქემის ამოქმედების შემდეგ შემდგარი არაერთი განხილვის შედეგად, მონაწილეთა ინტერესების გათვალისწინებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საპენსიო შენატანების განხორციელების ვალდებულების დარღვევისათვის დაჯარიმების პროცესიდან შემოსავლების სამსახურის ამორთვის შესახებ, რამდენადაც შემოსავლების სამსახურს არ აქვს შესაძლებლობა და რესურსი სათანადოდ, დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეების ინტერესების შესაბამისად უზრუნველყოს დაჯარიმების პროცესის მართვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონპროექტი ითვალისწინებს არსებულისაგან არსებითად განსხვავებულ რეგულირებას საპენსიო შენატანების განხორციელების ვალდებულების დარღვევისათვის სანქციების დაკისრებისა და საპენსიო შენატანების კანონის შესაბამისად განხორციელების ნაწილში.

კანონპროექტის თანახმად, შემოსავლების სამსახური საპენსიო სააგენტოს უზრუნველყოფს შესაბამისი ინფორმაციით საპენსიო სააგენტოს მიერ განსაზღვრული საჭიროებისამებრ და პერიოდულობით, ხოლო საპენსიო სააგენტო შემოსავლების სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის საპენსიო სააგენტოს ელექტრონულ სისტემაში არსებულ ინფორმაციასთან

შედარების შედეგად, საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტის იდენტიფიცირების შემთხვევაში, მის მიერ განსაზღვრული წესით უზრუნველყოფს საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების დამრღვევი დამსაქმებლის და ცალკეულ შემთხვევაში იმ დასაქმებულის, რომელის ხელფასიდან გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი არ ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაკავებას (კანონპროექტის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად) დაჯარიმებას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მოქმედი რედაქციის თანახმად, დამსაქმებლის გარდა ჯარიმა შესაძლებელია დაეკისროს თვითდასაქმებულსაც, თუმცა კანონპროექტი თვითდასაქმებულისათვის ჯარიმის დაკისრების შესაძლებლობას არ ითვალისწინებს, რამდენადაც თვითდასაქმებული ნებაყოფლობით წევრიანდება დაგროვებით საპენსიო სქემაში და შესაბამისად არ არის მიზანშეწონილი ჯარიმის დაკისრება. ამასთან, ჯარიმის დაკისრება არ ათავისუფლებს შესაბამის პირს საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების შესრულებისაგან. კანონპროექტის თანახმად ჯარიმის ოდენობები, რომლებიც მიემართება სახელმწიფო ბიუჯეტში, რჩება უცვლელი, თუმცა დაკისრებული ჯარიმა და ძირითადი ვალდებულება (საპენსიო შენატანის გადახდის ვალდებულების) იძულებით აღსასრულებლად მიიქცევა საპენსიო სააგენტოს კანონიერ ძალაში შესული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტისა და მის შესაბამისად საპენსიო სააგენტოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. კანონპროექტის შესაბამისად დაჯარიმების ახალი მექანიზმის ამოქმედების ვადად განსაზღვრულია კანონის გამოქვეყნებიდან 6 თვე და ამოქმედების თარიღამდე საპენსიო სააგენტო ვალდებულია შეიმუშავოს და დაამტკიცოს საპენსიო შენატანების განხორციელების ვალდებულების დარღვევის და საპენსიო შენატანის ზედმეტად განხორციელების ფაქტების გამოვლენის, ჯარიმის დაკისრების, აღსრულების წესი და პროცედურები.

- პრაქტიკაში ადგილი აქვს არაერთ შემთხვევას როდესაც საპენსიო სააგენტოს მიმართავენ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დანიშნული რეაბილიტაციის/გაკოტრების მმართველები და საპენსიო სააგენტოსაგან როგორც აღნიშნული კანონის მიზნებისთვის კრედიტორისაგან ითხოვენ ინფორმაციას საპენსიო შენატანებთან მიმართებით მისი მოთხოვნების შესახებ. საპენსიო სააგენტო, რომელიც ახორციელებს დაგროვებითი საპენსიო სქემის ადმინისტრირებასა და მართვას, ვერ იქნება განხილული დამსაქმებლის კრედიტორად, რადგან საპენსიო სააგენტოსათვის შეუძლებელია დადგენილ იქნეს კრედიტორული მოთხოვნები, სულ მცირე შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:
 - ა) საპენსიო შენატანის ოდენობა გამოთვლილ უნდა იქნეს დასაქმებულის ხელფასიდან, საპენსიო სააგენტოსათვის კი უცნობია დამსაქმებლის მიერ დასაქმებულისათვის გადახდილი/გადასახდელი ხელფასის (კანონის განმარტების გათვალისწინებით) ოდენობა, შესაბამისად, უცნობია დამსაქმებლის დასაქმებულის მიმართ შრომითი ურთიერთობიდან არსებულ/წარმოშობილი ვალდებულებები, ხელფასთან მიმართებით;

ბ) საპენსიო სააგენტოსათვის უცნობია, დამსაქმებლის დასაქმებულთა შესახებ ინფორმაცია, მათ შორის და არა მხოლოდ, დასაქმებულთა მოქალაქეობრივი სტატუსი, ასაკი, რაც დაკავშირებულია დაგროვებით საპენსიო სქემაში სავალდებულო გაწევრიანების საკითხთან, ასევე თუ რამდენად მიმართა დასაქმებულმა დამსაქმებელს, კანონიდან გამომდინარე დაგროვებით საპენსიო სქემაში ნებაყოფლობით გაწევრიანების თაობაზე და ა.შ.;

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონპროექტი ითვალისწინებს შესაბამის ცვლილებას, რომლის თანახმად საპენსიო სააგენტო „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისთვის არ წარმოადგენს კრედიტორს. მონაწილის საკუთრებაში არსებულ საპენსიო აქტივებთან მიმართებით კრედიტორს წარმოადგენს შესაბამისი მონაწილე ან მონაწილის მემკვიდრე/მემკვიდრეები. „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, რეაბილიტაციის მმართველის ან/და გაკოტრების მმართველის, ხოლო „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ლიკვიდატორის მიმართვის შემთხვევაში საპენსიო სააგენტო ვალდებულია აღნიშნულ პირს მიაწოდოს ელექტრონულ სისტემაში არსებული ინფორმაცია შესაბამისი დამსაქმებლის მიერ განხორციელებულ საპენსიო შენატანებთან დაკავშირებით, ასევე შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზებთან შედარების შედეგად მიღებული ინფორმაცია.

- კანონპროექტი ითვალისწინებს ცალკეულ ცვლილებებს, მასზედ რომ ნათლად მოხდეს საპენსიო სააგენტოს საოპერაციო მიმართულებისა და საინვესტიციო მიმართულების გამიჯვნა და უზრუნველყოფილ იქნეს საინვესტიციო საბჭოს / უფროსი საინვესტიციო ოფიცრის დამოუკიდებლობა საინვესტიციო საქმიანობის განხორციელების პროცესში.
- მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, 2026 წლის 1 იანვრიდან საპენსიო სააგენტოს მომსახურების საფასურის პროცენტულობის გაყოფა ადმინისტრაციული და საინვესტიციო მიმართულებისთვის. აღნიშნულ განაწილებასთან დაკავშირებით, საშუალოვადიან პერიოდზე, გაკეთდა რამდენიმე სიმულაცია და შესაბამისად მიღებულ იქნა შეჯერებული და რაციონალური გადაწყვეტილება. წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად საპენსიო სააგენტოს ხარჯებმა (გარდა საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯებისა) არ უნდა გადააჭარბოს საპენსიო აქტივების 0.2 პროცენტს, ხოლო საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებულმა პირდაპირმა ხარჯებმა საპენსიო სააგენტოს მართვაში არსებული საპენსიო აქტივების 0.3 პროცენტს. ამასთან, ამ კანონის 29-ე მუხლით გათვალისწინებული აქტივების მმართველი კომპანიის მიერ შესაბამის მონაწილეთა საპენსიო აქტივებიდან მისაღები მომსახურების საფასური არ უნდა აღემატებოდეს ამ კანონის შესაბამისად მის მართვაში არსებული საპენსიო აქტივების 0.3 პროცენტს.
- კანონის მოქმედი რედაქციის თანახმად მონაწილის საპენსიო აქტივებზე ქონებრივი უფლებები დაუშვებელია დაგირავდეს, უფლებრივად დაიტვირთოს, მათზე საკუთრების უფლება მესამე პირს გადაეცეს ან ისინი სხვაგვარად გასხვისდეს მონაწილის მიმართ

არსებული რაიმე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან უზრუნველსაყოფად. ამასთან, საპენსიო აქტივები არ ექვემდებარება აღსრულებას, ვერ იქნება შეტანილი მონაწილის, საპენსიო სააგენტოს გაკოტრების მასაში და მათზე არ იმოქმედებს რაიმე სახის ანგარიშსწორების პროცედურა. იმის გათვალისწინებით, რომ კანონის შესაბამისად 2021 წლის 15 სექტემბრიდან საპენსიო სააგენტოს დაფინანსების წყაროს წარმოადგენს დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეების საპენსიო აქტივებიდან მიღებული მომსახურების საფასური და კანონი ასევე ითვალისწინებს ასეთი მომსახურების საფასურის მაქსიმალურ პროცენტულ ზღვარს, მონაწილეების ინტერესების დაცვისა და საპენსიო სააგენტოს საქმიანობის უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით, კანონპროექტი ითვალისწინებს ზემოთ მითითებულის მსგავს შეზღუდვას მომსახურების საფასურთან მიმართებით. კერძოდ, კანონპროექტის თანახმად, საპენსიო სააგენტოს საქმიანობის დაფინანსების მიზნით მონაწილეთა საპენსიო აქტივებიდან, საპენსიო აქტივების წლიური მომსახურების საფასურის სახით, საპენსიო სააგენტოს მიერ მიღებული თანხა არ შეიძლება დაგირავდეს, უფლებრივად დაიტვირთოს, მათზე საკუთრების უფლება მესამე პირს გადაეცეს ან სხვაგვარად გასხვისდეს საპენსიო სააგენტოს მიმართ არსებული რაიმე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან უზრუნველსაყოფად, აღნიშნული თანხა არ ექვემდებარება აღსრულებას, ვერ იქნება შეტანილი საპენსიო სააგენტოს გაკოტრების მასაში.

- კანონის მოქმედი რედაქციის თანახმად, მონაწილეს რომელიც გადაწყვეტს საქართველოს სამუდამოდ დატოვებას, შეუძლია მოითხოვოს მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივების შესაბამისი ღირებულების მიღება ერთიანი გადახდით ან პროგრამული გატანით. ეს მოთხოვნა დაკმაყოფილდება იმ პირობით, რომ მონაწილე საპენსიო სააგენტოს წარუდგენს სხვა სახელმწიფოში კანონიერი, მუდმივი ცხოვრების უფლების დამადასტურებელ სათანადოდ დამოწმებულ დოკუმენტს. ამასთან სამუდამოდ დატოვების საფუძველით საპენსიო აქტივების მიღებისას, მონაწილის მიერ მისაღებ თანხას ჩამოეჭრება მის სასარგებლოდ განხორციელებული სახელმწიფო შენატანების პროპორციული საპენსიო აქტივების ღირებულება. პრაქტიკაში საქართველოს სამუდამოდ დატოვების საფუძველით საპენსიო აქტივების მიღების პროცესი საკმაოდ პრობლემური აღმოჩნდა. კერძოდ, უმთავრეს სირთულეს წარმოადგენს სხვა ქვეყანაში მუდმივად ცხოვრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნამდვილობის/ვალიდურობის შემოწმება, რათა დადგინდეს აღნიშნული დოკუმენტი ნამდვილად წარმოადგენს თუ არა მუდმივი ცხოვრების უფლების დასტურს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და ზოგადად, დაგროვებითი საპენსიო რეფორმის არსიდან გამომდინარე მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული აღნიშნულ რეგულირებაში ცვლილებების შეტანა და სამუდამოდ დატოვების საფუძველით საპენსიო აქტივების მხოლოდ იმ მონაწილეთათვის გადაცემა, რომლებიც დაკარგავენ საქართველოს მოქალაქეობას ან საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვას. ამავდროულად იმის გათვალისწინებით, რომ ნებისმიერი სხვა საფუძველით, საპენსიო აქტივების / პენსიის მიღება გულისხმობს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული საპენსიო შენატანების მიღებას, კანონპროექტის თანახმად,

საქართველოს სამუდამოდ დატოვების საფუძვლით საპენსიო აქტივების მიღებისას მონაწილე მიიღებს საპენსიო აქტივების სრულ ოდენობას, სახელმწიფოს საპენსიო შენატანების ჩამოჭრის გარეშე. ამასთან, მონაწილეს რომელიც გადაწყვეტს საქართველოს სამუდამოდ დატოვებას, შეუძლია მოითხოვოს მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივების შესაბამისი ღირებულება მხოლოდ ერთიანი გადახდით. იმ შემთხვევაში, თუ პირი კვლავ გახდება საქართველოს მოქალაქე ან კვლავ მოიპოვებს მუდმივი ბინადრობის ნებართვას, მასზე კვლავ გავრცელდება კანონის მოქმედება და სხვა დასაქმებულების მსგავსად, მის მიმართ იარსებებს დაგროვებით საპენსიო სქემაში სავალდებულოდ გაწევრიანების და საპენსიო შენატანების განხორციელების ვალდებულება.

- „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქციის თანახმად საპენსიო სააგენტო ვალდებულია პენსიის გაცემა / გადახდა დაიწყოს მონაწილის შესაბამისი განცხადების/მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში. საპენსიო სააგენტოს საოპერაციო საქმიანობის კომპლექსურობის და ცალკეულ შემთხვევებში ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, შესაბამისი ინფორმაციის მოძიებისა და ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამისად მოკვლევის ჩატრებისათვის საჭირო დროის გათვალისწინებით, კანონპროექტი ითვალისწინებს განსხვავებულ ვადებს პენსიის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა / პენსიის დანიშვნისა და პენსიის გაცემის/გადახდისათვის. კერძოდ, კანონპროექტის თანახმად, საპენსიო სააგენტო პენსიის დანიშვნის გადაწყვეტილებას მიიღებს შესაბამისი განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო პენსიის გაცემას/გადახდას დაიწყებს არაუგვიანეს პენსიის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.
- კანონის მოქმედი რედაქციის თანახმად, შესაძლებლობის შეზღუდვა განმარტებულია როგორც „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მდგომარეობა, რაც წარმოშობს იმის დაშვებას რომ ნებისმიერი პირი რომელსაც აქვს მსუბუქი, ნაკლებად გამოხატული ან/და დროებითი შესაძლებლობის შეზღუდვა, შეიძლება აქვს მიიღოს პენსია. აღნიშნულისა და ასევე საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირების შესახებ ერთიანი სააღრიცხვო ბაზის არარსებობის გამო, რაც შეუძლებელს ხდის 2007 წლის 1 იანვრამდე მინიჭებული სტატუსების გადამოწმებას, როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური სახით, კანონპროექტით შესაძლებლობის შეზღუდვა განმარტებულია როგორც „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ 2007 წლის 1 იანვრის შემდეგ მინიჭებული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი, რომელიც განაპირობებს მუდმივ მნიშვნელოვნად ან მუდმივ მკვეთრად გამოხატულ შეზღუდვას. კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს, შესაძლებლობის შეზღუდვის საფუძვლით პენსიის ერთიანი გადახდით დანიშვნის გამო საპენსიო სქემიდან გასვლის შემდეგ, მონაწილის უფლებამოსილებას ნებისმიერ დროს ხელახლა გაწევრიანდეს დაგროვებით საპენსიო სქემაში.

- კანონპროექტით განისაზღვრება რისკის მთავარი ოფიცრის თანამდებობა. კანონპროექტის თანახმად, რისკის მთავარი ოფიცერი არ არის უფლებამოსილი შეაჩეროს, შეაფერხოს ან/და შეზღუდოს საპენსიო სააგენტოს გადაწყვეტილებები და მის მიერ სააგენტოს მმართველობის ორგანოებისთვის ან/და სტრუქტურული ერთეულებისათვის წარდგენილი რეკომენდაციები არ არის სავალდებულო ხასიათის. კანონპროექტი ერთმანეთისგან განასხვავებს საინვესტიციო და არასაინვესტიციო რისკს და ითვალისწინებს აგრეგირებულ რისკს. არასაინვესტიციო რისკებთან მიმართებით, რისკის მთავარი ოფიცერი ანგარიშვალდებულია უშუალოდ სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე, ხოლო საინვესტიციო რისკების კონტროლთან მიმართებით, რისკის მთავარი ოფიცერი ანგარიშვალდებულია უშუალოდ საინვესტიციო საბჭოს წინაშე. რაც შეეხება აგრეგირებულ რისკს, აღნიშნულთან დაკავშირებით რისკის მთავარი ოფიცერი ანგარიშვალდებულია, როგორც სამეთვალყურეო საბჭოსთან ასევე საინვესტიციო საბჭოსთან. რისკის მთავარი ოფიცრის ფუნქციებთან მიმართებით, აღსანიშნავია, რომ კანონპროექტი ითვალისწინებს საოპერაციო, შესაბამისობისა და რეპუტაციული რისკის პოლიტიკას, რომელიც მოიცავს საოპერაციო რისკების მართვის ჩარჩოს, საოპერაციო რისკების აპეტიტის ჩარჩოს, ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკას, ბიზნესუწყვეტობის ჩარჩოს, ადამიანური რისკების, სწავლებისა და შესაძლებლობების ჩარჩოს, თაღლითობის, ქრთამისა და კორუფციის რისკების ჩარჩოს, რეპუტაციული რისკისა და კომუნიკაციის ჩარჩოს, მხილების, სამართლებრივი შესაბამისობის, ინტერესთა კონფლიქტის ჩარჩოს. აღნიშნულ პოლიტიკას შეიმუშავენ რისკის მთავარი ოფიცერი და სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს საპენსიო სააგენტოს დირექტორი.
- კანონპროექტი ითვალისწინებს განსხვავებულ რეგულირებას კანონის 29-ე მუხლით გათვალისწინებულ აქტივების მმართველ კომპანიებთან და ასეთ კომპანიებთან მიმართებით საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო ფუნქციებთან დაკავშირებით. კერძოდ, კანონპროექტის თანახმად:
 - ეროვნული ბანკი, ახორციელებს 29-ე მუხლით გათვალისწინებული აქტივების მმართველი კომპანიების პრუდენციულ რეგულირებას იგივე პრინციპითა და მექანიზმებით როგორც ხდება ეროვნული ბანკის მიერ პროდენციული რეგულირება;
 - საინვესტიციო საბჭოს უფლებამოსილება საინვესტიციო საქმიანობის მონიტორინგისა და საინვესტიციო სახელმძღვანელოს დამტკიცების კონტექსტში არ ვრცელდება 29-ე მუხლით გათვალისწინებულ აქტივების მმართველ კომპანიებზე;
 გარდა აღნიშნულისა, კანონპროექტი ითვალისწინებს იმ მონაწილეთა წრის გაფართოვებას, რომლებიც უფლებამოსილნი არიან საპენსიო აქტივების სამართავად აირჩიონ 29-ე მუხლით გათვალისწინებული აქტივების მმართველი კომპანია. აღნიშნული ცვლილების თანახმად ნებისმიერი მონაწილე უფლებამოსილია საპენსიო აქტივები სამართავად გადასცეს 29-ე მუხლით გათვალისწინებულ აქტივების მმართველ კომპანიას. ამასთან, კანონპროექტის თანახმად შეცვლილი რედაქციით ჩამოყალიბებული 29-ე მუხლის ამოქმედების თარიღად განსაზღვრულია 2024 წლის 12 ოქტომბერი.

- კანონპროექტი ცალკეული თანამდებობის პირებისა (დირექტორი, უფროსი საინვესტიციო ოფიცერი და მისი მოადგილე, რისკის მთავარი ოფიცერი და მისი მოადგილე) და საინვესტიციო საბჭოს წევრებისათვის ითვალისწინებს ე.წ. „გარდენინგის“ პირობას, რომლის მიხედვით, აღნიშნული პირები არ შეიძლება პროფესიულ მომსახურებას უწევდეს აქტივების მმართველ კომპანიას ან სპეციალიზებულ დეპოზიტარს თანამდებობიდან გათავისუფლებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში მათ უნარჩუნდებათ არსებული თანამდებობრივი სარგო.
- კანონის მოქმედი რედაქცია არ ითვალისწინებს რეგულირებას საინვესტიციო საბჭოს წევრთა შესარჩევი კომისიის გადაწყვეტილებაუნარიანობასა და გადაწყვეტილების მიღების წესთან დაკავშირებით. შესაბამისად, კანონპროექტით განისაზღვრება, რომ შესარჩევი კომისია გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება მინიმუმ 5 წევრი. შესარჩევი კომისია გადაწყვეტილებებს იღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით.
- კანონპროექტით განისაზღვრება საინვესტიციო საბჭოს ვალდებულება უზრუნველყოს საინვესტიციო საქმიანობიან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებული რისკების მართვა და ასევე პასუხიმგებლობა, ასეთი რისკების მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ლიმიტებთან შესაბამისობის კონტროლზე. ასევე განისაზღვრება, რომ საინვესტიციო საბჭო ახორციელებს საინვესტიციო საქმიანობიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებული რისკების მართვის ფუნქციის და საინვესტიციო რისკების მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ლიმიტებთან შესაბამისობის კონტროლის ფუნქციის ზედამხედველობას.
- კანონპროექტით დეტალურად განისაზღვრება უფროსი საინვესტიციო ოფიცრის მიერ საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისა და აღსრულების, მათ შორის მესამე პირებთან წარმომადგენლობისა და შესაბამისი გარიგებების გაფორმების უფლებამოსილება.
- კანონის მოქმედი რედაქცია ითვალისწინებს სააგენტოს დირექტორის მიერ პარლამენტისადმი ანგარიშგების წესს. საინვესტიციო საქმიანობის დამოუკიდებლობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული საქართველოს პარლამენტისადმი დამატებით ასევე უფროსი საინვესტიციო ოფიცრისა და საინვესტიციო საბჭოს ანგარიშგების ვალდებულების განსაზღვრა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონპროექტი ითვალისწინებს უფროსი საინვესტიციო ოფიცრის ვალდებულებას საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს ნახევარ წლის და ერთი წლის ანგარიში საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებით და ასევე საინვესტიციო საბჭოს თავმჯდომარის ვალდებულება საქართველოს პარლამენტს ყოველ ორ წელიწადში ერთხელ წარუდგინოს ანგარიში საანგარიშო პერიოდში საინვესტიციო პოლიტიკის შესრულებასთან დაკავშირებით.
- კანონპროექტი, ბაზრის სპეციფიკის გათვალისწინებით, ითვალისწინებს შემსუბუქებულ მოთხოვნებს სპეციალიზებულ დეპოზიტართან მიმართებით, კერძოდ, კანონპროექტის თანახმად, სპეციალიზებულ დეპოზიტარზე აღარ ვრცელდება შეზღუდვა მასზედ, რომ ის არ უნდა იყოს აქტივების მმართველი კომპანიის ან სამეთვალყურეო საბჭო წევრთან ან საინვესტიციო საბჭოს წევრთან აფილირებული პირი და ასევე, მასზედ, რომ არ უნდა

სესხულობდეს ან ასესხებდეს თანხებს აქტივების მმართველ კომპანიას ან მასთან აფილირებულ პირს.

კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს, ცვლილებას საინვესტიციო საბჭოს მიერ რამდენიმე სპეციალიზებული დეპოზიტარის არჩევასთან დაკავშირებით. იმის გათვალისწინებით, რომ პრაქტიკიდან გამომდინარე შეუძლებელია რამდენიმე სპეციალიზებული დეპოზიტარი ემსახურებოდეს სხვადასხვა საინვესტიციო პორტფელს თუ საპენსიო აქტივების ნაწილს, კანონპროექტით განისაზღვრება, რომ საინვესტიციო საბჭო უფლებამოსილია შეარჩიოს და გააფორმოს ხელშეკრულება მხოლოდ ერთ სპეციალიზებულ დეპოზიტართან.

ამასთან, მონაწილეთა ინტერესების დაცვის და საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო საქმიანობის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, კანონპროექტი ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილებას, მის მიერ დადგენილი წესით სრულად ან ნაწილობრივ შეასრულოს სპეციალიზებული დეპოზიტარის ფუნქციები. კერძოდ, თუ სპეციალიზებული დეპოზიტარის მომსახურების მიღება სხვაგვარად შეუძლებელია ან არაგონივრულ ძალისხმევას ან ხარჯებს მოითხოვს, საინვესტიციო საბჭოს ან კანონის 29-ე მუხლით განსაზღვრულ აქტივების მმართველ კომპანიას უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება სპეციალიზებული დეპოზიტარული მომსახურების შესაძენად საქართველოს ეროვნულ ბანკთან ხელშეკრულების დადების შესახებ. ამ ხელშეკრულების საფუძველზე ეროვნულმა ბანკმა შეიძლება შეასრულოს სპეციალიზებული დეპოზიტარის ყველა ფუნქცია ან მათი მხოლოდ გარკვეული ნაწილი. ეროვნულ ბანკთან დადებული ხელშეკრულების ვადა არ უნდა აღემატებოდეს იმ პერიოდს, რომელიც საინვესტიციო საბჭოსათვის ან ამ კანონის 29-ე მუხლით განსაზღვრული აქტივების მმართველი კომპანიისთვის არის აუცილებელი ახალი სპეციალიზებული დეპოზიტარის შესარჩევად;

- ამავდროულად, გამომდინარე იქიდან, რომ მოხდეს მონაწილეების ინტერესების და უფლებების მაქსიმალურად გათვალისწინება, კანონპროექტი სქემის არსებული მონაწილეებისათვის ითვალისწინებს საშუალო და მაღალრისკიანი საინვესტიციო პორტფელების შექმნიდან ერთ თვიან ვადას იმისათვის, რომ მონაწილემ გადაწყვიტოს რომელი რისკის საინვესტიციო პორტფელში მოახდინოს მისი კუთვნილი დანაზოგის გადატანა/ინვესტირება, ხოლო 2023 წლის 6 აგვისტოდან (კანონის მოქმედი რედაქციით საშუალო და მაღალრისკიანი საინვესტიციო პორტფელების შექმნის თარიღი) ყოველ ახალ მონაწილეს გაწევდიანებიდან ექნება ერთ თვიანი ვადა, რომ გადაწყვიტოს რომელი საინვესტიციო პორტფელი აირჩიოს. ამავდროულად, კანონპროექტი განსაზღვრავს მონაწილის შესაძლებლობას კვლავ შეცვალოს მის მიერ უკვე არჩეული საინვესტიციო პორტფელი სააგენტოსათვის შესაბამისი შეტყობინების საფუძველზე, თუმცა საინვესტიციო პორტფელის შეცვლის პერიოდულობა არ უნდა იყოს 12 თვეზე ნაკლები, იმისათვის რომ მონაწილეების ინტერესები იყოს მაქსიმალურად თანაბრად დაცული და არ ხდებოდეს მოკლე ვადებში მამტაბური და მუდმივი რეზალანსირება/გადანაწილება, რაც აუცილებლად აზარალებს საპენსიო ფონდს და შესაბამისად გარკვეულ მონაწილეებს.

- იმისათვის, რომ საინვესტიციო სტრატეგია გახდეს გაცილებით მრავალფეროვანი და მრავალმხრივი, კანონპროექტი ხსნის დაწესებულ 95 პროცენტთან სანდოობის ზღვარს და შემოაქვს ზოგადად მაღალი სანდოობის მიდგომა, რაც გაცილებით მოქნილს ხდის საინვესტიციო ანალიზს და სტრატეგიას.
- კანონპროექტის ითვალისწინებს ცვლილებებს საინვესტიციო პორტფელისათვის დაწესებულ ლიმიტებთან/მოთხოვნებთან მიმართებით. კერძოდ:
 - ნაკლებად რისკიანი პორტფელის ნაწილში, ემატება სხვა ტიპის აქტივები - 10 პროცენტამდე,
 - საშუალო რისკიანი საინვესტიციო პორტფელში სხვა ტიპის აქტივების მოცულობა გაიზარდა 15 პროცენტამდე (10 პროცენტიდან)
 - მაღალრისკიანი საინვესტიციო პორტფელში სხვა ტიპის აქტივების მოცულობა გაიზარდა 20 პროცენტამდე (10 პროცენტიდან).

აღნიშნული ცვლილებები უპირველეს ყოვლისა ემსახურება მონაწილეების ინტერესებს, რამეთუ ითვალისწინებს საინვესტიციო პორტფელის მეტ დივერსიფიცირებას და შესაბამისად მეტ დაზღვევას საინვესტიციო რისკებისგან. ამავდროულად, აღნიშნული ცვლილებები მოიაზრებს პირდაპირ რეალურ ეკონომიკაში მეტი ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობას (სხვადასხვა საინვესტიციო პროექტების დაფინანსების საშუალებას) და შესაბამისად საშუალო და გრძელვადიან პერიოდში გაცილებით მეტი მოგების გენერირებას, რაც შეესაბამება მონაწილეთა საუკეთესო ინტერესებს.

- კანონპროექტი, პოტენციურად ბაზარზე ახალი საინვესტიციო ინსტრუმენტების გაჩენის გათვალისწინებით, ითვალისწინებს საინვესტიციო შესაძლებლობას ლიცენზირებული კომერციული ბანკების მიერ გამოშვებულ იპოთეკით დაცულ ობლიგაციებში. ამას გარდა, კანონპროექტი განსაზღვრავს საინვესტიციო შესაძლებლობას წილობრივ, სავალო ან სასესხო შეთავაზებაში საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან ერთად 33 პროცენტამდე თანამონაწილეობით.
- კანონპროექტი ითვალისწინებს უძრავ ქონების საინვესტიციო ფონდების ერთეულებში ინვესტირების შესაძლებლობას დამატებითი მოგების მიღების მიზნით და დამატებით დივერსიფიკაციის მიზნით და მხოლოდ მაღალრისკიანი საინვესტიციო პორტფელის შემთხვევაში. საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით კანონპროექტი აფართოებს საინვესტიციო შესაძლებლობას ერთი ემიტენტის მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებში 25 პროცენტამდე (10 პროცენტიდან), ხოლო ერთი ემისიის ფარგლებში იპოთეკით დაცული ობლიგაციების 40 პროცენტამდე.
- კანონპროექტი ითვალისწინებს 6 თვიან გარდამავალ პერიოდს საშუალორისკიანი და მაღალრისკიანი საინვესტიციო პორტფელის შექმნის თარიღიდან, რომლის განმავლობაშიც საპენსიო სააგენტო ვალდებულია უზრუნველყოს საშუალო რისკიანი და მაღალ რისკიანი საინვესტიციო პორტფელის კანონის 27-ე მუხლით დადგენილ ლიმიტებთან/მოთხოვნებთან შესაბამისობა.
- მონაწილეების ინტერესების დაცვის მიზნით კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს ე.წ. redemption gate, swing price და anti-dilution მექანიზმებს, რაც საკმაოდ მიღებული პრაქტიკაა

ღია საინვესტიციო ფონდებისთვის. აღნიშნული მექანიზმების მიხედვით, საინვესტიციო საბჭოს ან/და 29-ე მუხლით გათვალისწინებულ აქტივების მმართველ კომპანიას უფლება აქვთ საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრონ: ა) პორტფელის ფონდის ერთეულების გამოსყიდვის იმგვარი მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც დაწესდება გამოსყიდვის თითოეულ პერიოდზე გამოსასყიდი პორტფელის ერთეულების საერთო რაოდენობის ან მაქსიმალური ღირებულების შეზღუდვა (redemption gate). ბ) აქტივების წმინდა ღირებულებით გამოთვლილი პორტფელის ერთეულის ფასიდან გადახრის იმგვარი მექანიზმი, რაც დააბალანსებს ფონდის ახალი ერთეულების გაყიდვის, ან არსებული პორტფელის ერთეულების გამოსყიდვით გამოწვეულ ეფექტს აქტივების წმინდა ღირებულებაზე (swing price, anti-dilution mechanism).

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

ასეთი არ არსებობს.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონის პროექტის ძალაში შესვლის თარიღად გარკვეული ნორმების მიმართ განისაზღვრა გამოქვეყნების თარიღი, ხოლო სხვა შემთხვევებში კანონის გამოქვეყნებიდან 6 თვე, 2024 წლის 1 იანვარი, ასევე 2025 წლის 1 იანვარი და 2026 წლის 1 იანვარი. აღნიშნული გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ შესაბამის ნორმებთან მიმართებით აღნიშნული თარიღის დადგომამდე, მიღებულ უნდა იქნეს სხვადასხვა სამართლებრივი აქტები, საპენსიო სააგენტომ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული ცვლილების საფუძველზე შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების სათანადო ჩამოყალიბება/დაკომპლექტება (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) და ტექნიკური გამართვა. შესაბამისად, საპენსიო სააგენტოს მიერ „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტით, გათვალისწინებული უფლებამოსილების სრულად განხორციელებამდე საჭიროა გარკვეული მატერიალური და ადამიანური რესურსების, საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რაც მოითხოვს გონივრულ ვადას. კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისათვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ არის მოთხოვნილი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი).

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. საპენსიო სააგენტოს საქმიანობის დაფინანსების წყარო არის საპენსიო აქტივებიდან მომსახურების საფასურის სახით მიღებული თანხები.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, რამდენადაც:

- კანონპროექტის თანახმად თვითდასაქმებულები აღარ ექვემდებარებიან დაჯარიმებას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად;
- კანონის მოქმედი რედაქციის თანახმად, საქართველოს სამუდამოდ დატოვების შემთხვევაში, მონაწილეს გადაეცემა საპენსიო აქტივები, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული საპენსიო შენატანების გამოკლებით. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული საპენსიო შენატანები უბრუნდება სახელმწიფოს. კანონპროექტის თანახმად სახელმწიფოს აღარ დაუბრუნდება სახელმწიფოს მიერ განხორციელებული საპენსიო შენატანი და აღნიშნული საპენსიო შენატანის თანხა გადაეცემა მონაწილეს მისი და დამსაქმებლის მიერ განხორციელებულ საპენსიო შენატანებთან ერთად. წინასწარ შეუძლებელია იმ თანხის ოდენობის განსაზღვრა რაც არ დაუბრუნდება სახელმწიფოს. ასეთი თანხის ოდენობა დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენი მონაწილე დატოვებს საქართველოს სამუდამოდ, მოითხოვს აღნიშნული საფუძვლის საპენსიო აქტივების გადაცემას და ასევე დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ოდენობის საპენსიო აქტივები ექნება ასეთ პირებს.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, ვინაიდან:

- კანონპროექტის თანახმად, კანონის მოქმედება გავრცელდება საქართველოს მოქალაქეებზე, მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებზე, მიუხედავად საქართველოში მათი რეზიდენტობის სტატუსისა. შესაბამისად, შესაძლოა გაიზარდოს იმ პირთა წრე ვისი სახელითა და სასარგებლოდ საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულება წარმოიშვება, მათ შორის სახელმწიფოს მიერ. თუმცა წინასწარ ფინანსური შედეგების განსაზღვრა შეუძლებელია;
- სსიპ შემოსავლების სამსახურს კანონპროექტის თანახმად უმცირდება ფუნქციები, რამდენადაც საპენსიო შენატანის განუხორციელებლობის გამო დაჯარიმებას განხორციელებს საპენსიო სააგენტო. შესაბამისად სსიპ შემოსავლების სამსახურს შეუცირდება ასევე ხარჯები. ასეთი ხარჯების ოდენობის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია.

- კანონპროექტი ითვალისწინებს, შესაძლებლობის შეზღუდვის საფუძველით პენსიის ერთიანი გადახდით დანიშვნის გამო საპენსიო სქემიდან გასვლის შემდეგ, მონაწილის უფლებამოსილებას ნებისმიერ დროს ხელახლა გაწევრიანდეს დაგროვებით საპენსიო სქემაში. აღნიშნული გავლენას მოახდეს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, რამდენადაც შესაბამისი პირის დაგროვებით საპენსიო სქემაში ხელახლა გაწევრიანების შემთხვევაში სახელმწიფოს წარმოეშვება საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულება. აღნიშნული ხარჯის წინასწარ განსაზღვრა არ არის შესაძლებელი.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

- კანონპროექტის თანახმად, კანონის მოქმედება გავრცელდება საქართველოს მოქალაქეებზე, მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებზე, მიუხედავად საქართველოში მათი რეზიდენტობის სტატუსისა. შესაბამისად, შესაძლოა გაიზარდოს იმ პირთა წრე ვისი სახელითა და სასარგებლოდ საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულება წარმოიშვება, მათ შორის დამსაქმებლების და დასაქმებულების მიერ. თუმცა წინასწარ ფინანსური შედეგების განსაზღვრა შეუძლებელია;
- შესაძლებლობის შეზღუდვის ტერმინში შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით, ვიწროვდება შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის მქონე იმ პირთა წრე, რომლებიც უფლებამოსილნი იქნებიან კანონის შესაბამისად მიიღონ პენსია. ასეთ პირთა რაოდენობის და მათ მიმართ ფინანსური შედეგების წინასწარ განსაზღვრა არ არის შესაძლებელი.
- ეროვნული ბანკის მიერ კანონის მე-6 მუხლში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, 29-ე მუხლით გათვალისწინებული აქტივების მმართველი კომპანიების პროდენციულ რეგულირებასთან დაკავშირებული ასევე სპეციალიზებული დეპოზიტარის ფუნქციების შესრულებამ შესაძლოა მისთვის გამოიწვიოს დამატებითი ხარჯები. ამასთან ეროვნულ ბანკს სპეციალიზებული დეპოზიტარული მომსახურების ფუნქციის შესრულების შემთხვევაში, იმ შემთხვევაში თუ ასეთი მომსახურება სასყიდლიანი იქნება, ასევე გაუჩნდება დამატებითი შემოსავალი. ასეთი ხარჯების ან/და შემოსავლის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია.

- კანონპროექტით გათვალისწინებული ჯარიმის დაკისრებასთან დაკავშირებული რეგულირება გამოიწვევს საპენსიო სააგენტოს მიერ დამატებითი ფინანსური ხარჯების გაწევას, კანონპროექტის შესაბამისად მისი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის სათანადოდ მოწყობის და დამატებით ადამიანური რესურსების მობილიზების აუცილებლობის გამო.
- კანონპროექტი ცალკეული თანამდებობის პირებისა (დირექტორი, უფროსი საინვესტიციო ოფიცერი და მისი მოადგილე, რისკის მთავარი ოფიცერი და მისი მოადგილე) და საინვესტიციო საბჭოს წევრებისათვის ითვალისწინებს ე.წ. „გარდენინგის“ პირობას, რომლის მიხედვით, აღნიშნული პირები არ შეიძლება პროფესიულ მომსახურებას უწევდნენ აქტივების მმართველ კომპანიას ან სპეციალიზებულ დეპოზიტარს თანამდებობიდან გათავისუფლებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში მათ უნარჩუნდებათ არსებული თანამდებობრივი სარგო. შესაბამისად აღნიშნული ცვლილება გავლენას ახდენს საპენსიო სააგენტოს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე და ასევე, ფინანსურ შედეგებს იწვევს იმ პირებისთვის, რომლებზეც ვრცელდება აღნიშნული პირობა. ფინანსური გავლენის ოდენობის წინასწარ განსაზღვრა არ არის შესაძლებელი, რადგან დამოკიდებულია შესაბამის დროს შესაბამისი პირის ხელფასის ოდენობაზე.
- საინვესტიციო საბჭოს მიერ მე-13 მუხლის 1¹ პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილებით სარგებლობისა და საინვესტიციო რისკების კონტროლის ფუნქციის შესრულების მიზნით შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, აღნიშნული ზეგავლენას მოახდენს საპენსიო სააგენტოს ხარჯვით ნაწილზე. წინასწარ ასეთი ხარჯის ოდენობის განსაზღვრა არ არის შესაძლებელი.
- საინვესტიციო ლიმიტებთან (მანდატის გაფართოებასთან) დაკავშირებით კანონპროექტით გათვალისწინებულ ცვლილებებს ექნება გავლენა დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეების საპენსიო აქტივებზე, თუმცა, ასეთი გავლენის წინასწარ შეფასება და ფინანსური შედეგების განსაზღვრა არ არის შესაძლებელი.
- კანონპროექტის საფუძველზე 29-ე მუხლში შეტანილ ცვლილებებს აქვს გავლენა დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეებზე, რამდენადაც ფართოვდება ისეთ მონაწილეთა წრე, რომლებსაც აქვთ უფლება აირჩიონ აქტივების მმართველი კომპანია. ასეთ მონაწილეებზე გავლენის წინასწარ შეფასება და ფინანსური შედეგების წინასწარ განსაზღვრა არ არის შესაძლებელი.
- კანონის 38-ე მუხლში შეტანილი ცვლილების თანახმად, განისაზღვრება 29-ე მუხლით გათვალისწინებული აქტივების მმართველი კომპანიის მიერ მისაღები მომსახურების საფასურის მაქსიმალური ოდენობა (პროცენტული განაკვეთის სახით), შესაბამისად აღნიშნული ცვლილება გავლენას ახდენს აქტივების მმართველი კომპანიების საშემოსავლო ნაწილზე და ასევე აქტივების მმართველი კომპანიების მომსახურების მიმღები მონაწილეების ხარჯზე.

- საქართველოს საამუდამოდ დატოვების საფუძვლით საპენსიო აქტივების მიღების შემთხვევაში, კანონპროექტის თანახმად ზუსტება იმ პირობა წრე რომელსაც აქვს უფლება აღნიშნული საფუძვლით მიიღოს საპენსიო აქტივები. ამასთან, საქართველოს საამუდამოდ დატოვების საფუძვლით საპენსიო აქტივების მიღების შემთხვევაში, მონაწილე მიიღებს სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ საპენსიო შენატანებსაც, შესაბამისად მონაწილე მიიღებს იმაზე მეტი ოდენობით საპენსიო აქტივს ვიდრე გათვალისწინებულია კანონის მოქმედი რედაქციით. მონაწილეებზე ფინანსური გავლენის თანხობრივად განსაზღვრა წინასწარ შეუძლებელია.
- კანონპროექტი ითვალისწინებს, შესაძლებლობის შეზღუდვის საფუძვლით პენსიის ერთიანი გადახდით დანიშნვის გამო საპენსიო სქემიდან გასვლის შემდეგ, მონაწილის უფლებამოსილებას ნებისმიერ დროს ხელახლა გაწევრიანდეს დაგროვებით საპენსიო სქემაში. აღნიშნული გავლენას მოახდეს დამსაქმებლებზე და მონაწილეებზე, რადენადაც შესაბამისი პირის დაგროვებით საპენსიო სქემაში ხელახლა გაწევრიანების შემთხვევაში, დამსაქმებელს წარმოეშვება საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულება და შესაბამისი ხარჯი, ხოლო მონაწილეს დაუგვორდება დამატებითი საპენსიო აქტივები. აღნიშნული გავლენის თანხობრივად განსაზღვრა წინასწარ არ არის შესაძლებელი.
- კანონპროექტი, ბაზრის სპეციფიკის გათვალისწინებით, ითვალისწინებს შემსუბუქებულ მოთხოვნებს სპეციალიზებულ დეპოზიტართან მიმართებით, კერძოდ, კანონპროექტის თანახმად, სპეციალიზებულ დეპოზიტარზე აღარ ვრცელდება შეზღუდვა მასზედ, რომ ის არ უნდა იყოს აქტივების მმართველი კომპანიის ან სამეთვალყურეო საბჭო წევრთან ან საინვესტიციო საბჭოს წევრთან აფილირებული პირი და ასევე, მასზედ, რომ არ უნდა სესხულობდეს ან ასესხებდეს თანხებს აქტივების მმართველ კომპანიას ან მასთან აფილირებულ პირს. აღნიშნული ცვლილებების შედეგად ფართოვდება იმ პირობა წრე, რომლებმაც შესაძლოა შეასარულონ სპეციალიზებული დეპოზიტარის ფუნქცია. ასეთ პირობებზე ზეგავლენის და ფინანსური შედეგის წინასწარ განსაზღვრა არ არის შესაძლებელი.
- მონაწილეების ინტერესების დაცვის მიზნით კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს ე.წ. redemption gate, swing price და anti-dilution მექანიზმებს, აღნიშნული მექანიზმების ამოქმედება გავლენას მოახდენს მონაწილეებზე, თუმცა ასეთი გავლენის წინასწარ შეფასება არ არის შესაძლებელი.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:
 კანონპროექტით არ დგინდება გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი.

ბ¹) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:
 წარმოდგენილი კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტის მომზადება არ უკავშირდება საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ეროვნული ბანკი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საპენსიო სააგენტო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.